



სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის
ბენეფიციური დირექტორის

ბრძანება № 140

ა. თბილისი

10 თებერვალი 2018 წ.

„უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის სახელმწიფო გრანტების 2018 წლის კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილი საპროექტო განაცხადების მოხსნის შესახებ“

„უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის სახელმწიფო გრანტის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის N88 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის, „2018 წლის უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის სახელმწიფო გრანტების კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობების და საკონკურსო განაცხადის ფორმების დამტკიცების შესახებ“ სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2018 წლის 10 ივლისის N96 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის პირობების მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო გრანტებისა და პროგრამების უზრუნველყოფის, შეფასებისა და ანალიზის დეპარტამენტის სპეციალისტის 2018 წლის 5 ოქტომბრის სამსახურებრივი ბარათის (N1283028) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის სახელმწიფო გრანტების კონკურსის პირობებთან შეუსაბამობის გამო, მოიხსნას საპროექტო განაცხადები ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. დაევალოს სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს წინამდებარე ბრძანების განთავსება ფონდის ვერგვერდზე.
3. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

მალხაზ ხოფერია

გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

დანართი
დამტკიცებულია
სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო
ფონდის გენერალური დირექტორის
2018 წლის 10 ოქტომბრის N-¹⁴⁰ ბრძანებით

**2018 წლის უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის
სახელმწიფო გრანტის კონკურსიდან მოხსნილი პროექტები**

№	შიფრი	წამყვანი ორგანიზაცია	კონკურსის მიზნებისათვის დადგენილ მოთხოვნებთან შეუსაბამობა
1	DI-18-811	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	დარღვეულია კონკურსის პირობების მე-4 მუხლის, პირველი პუნქტის ა.გ ქვეპუნქტით დადგენილი მოთხოვნები, კერძოდ, არ არის წარმოდგენილი ნ.მ.-ს CV ქართულ და ინგლისურ ენაზე, მათ ნაცვლად ატვირთულია გ.გ.-ს CV-ები.
2	DI-18-417	თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	დარღვეულია კონკურსის პირობების მე-4 მუხლის, პირველი პუნქტის ა.გ ქვეპუნქტით დადგენილი მოთხოვნები, კერძოდ, არ არის წარმოდგენილი გ.შ.-ს CV ინგლისურ ენაზე, მის ნაცვლად ატვირთულია ნ.გ.-ს ინგლისური CV.
3	DI-18-1700	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	დარღვეულია კონკურსის დებულების მე-2 მუხლის "ნ" ქვეპუნქტით, კონკურსის პირობების მე-2 მუხლის მე-5 პუნქტსა და მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის ბ.ე-ქვეპუნქტით დადგენილი მოთხოვნები, კერძოდ პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელის, ლ.ჭ.-ს დოქტორის დიპლომი არ არის ლეგალიზებული. 2018 წლის 21 აგვისტოს სხდომის N1 ოქმით დადგენილი ეს ხარვეზი არ გამოსწორდა განსაზღვრულ ვადაში, რაც ექვემდებარება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარებას.
4	DI-18-1785	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	დარღვეულია კონკურსის დებულების მე-4 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები და კონკურსის პირობების მე-2 მუხლის მე-14 და მე-15 პუნქტები - პროექტის თანახელმძღვანელი ლ.შ. ჩართულია სამ პროექტში: FR17_523 - ძირითადი პერსონალის სტატუსით, FR-18-3884 - პროექტის ხელმძღვანელის სტატუსით, DI-18-1785 - თანახელმძღვანელის სტატუსით; კოორდინატორი დ.კ. ჩართულია სამ პროექტში: FR17_523 - პროექტის ხელმძღვანელის სტატუსით, FR-18-3884 და DI-18-1785 - კოორდინატორის სტატუსით; მკვლევრები ი.შ. და ა.ლ. ჩართულები არიან სამ პროექტში: FR17_523 - ძირითადი პერსონალის სტატუსით, FR-18-3884 და DI-18-1785 - მკვლევრის სტატუსით.